

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 01-08-15/2018-2018-2

ქ. თბილისი

„02“ „04“ 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორის არჩილ ფრანგიშვილის სახით (შემდგომში „უნივერსიტეტი“) და მეორე მხრივ შპს „ბკ კაპიტალი“, მისი გენერალური დირექტორის რევაზ ქვეანიშვილის სახით (შემდგომში „კომპანია“), ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. უნივერსიტეტი ავალებს, ხოლო კომპანია კისრულობს ვალდებულებას შემდეგი მომსახურების გაწევას:

ა) კომპანიამ პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს უნივერსიტეტის მიერ პრაქტიკაზე გაგზავნილი საბაკალავრო (ან სამაგისტრო ან სადოქტორო) პროგრამის: მშენებლობა შიფრი 0406, სტუდენტები 150 რაოდენობით;

ბ) კომპანია პრაქტიკანტებს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;

გ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ კომპანია თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამონმბებულ დასკვნა-დახასიათებას.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. კომპანია:

2.1.1. უწევს ამ ხელშეკრულების პ.1.-ით გათვალისწინებულ მომსახურებას კომპანიის ადგილსამყოფელის მიხედვით: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 29;

2.1.2. კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს უნივერსიტეტთან შეთანხმებული საწარმოო პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულება;

2.1.3. თუ შესრულებული სამუშაო არაა დამაკმაყოფილებელია, კომპანია ვალდებულია აღმოფხვრას ნაკლი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება და კომპანიას მოსთხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

2.2. უნივერსიტეტი:

2.2.1. კომპანიას მიაწოდოს პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სია და პრაქტიკის სილაბუსი.

3. მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1. ამ ხელშეკრულებით განწესებული მომსახურება – სტუდენტთა პრაქტიკაზე გატარება წარიმართება ანაზღაურების გარეშე. ერთ წელიწადში სტუდენტი-პრაქტიკანტების რაოდენობა შეიძლება იყოს 150, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. კომპანია იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შესრულოს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

4.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხემოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

5.2. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში – მიმართავენ სასამართლოს.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლიარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

კომპანია:

უნივერსიტეტი:

შპს „ბკ კაპიტალი“

სსიპ საქართველოს ტექნიკური

ი.ჭავჭავაძის გამზ. 29, ს/კ 205057123

უნივერსიტეტი

კოსტავა ქ,77, ს/კ 211349192

ხელმოწერა: რ.ქევანიშვილი

ხელმოწერა: ა.ტრანგიშვილი

